ხაშურის მოამბე

№17 (98) 2 მაისი, სამშაბათი, 2017 წელი

აღინიშნა დიდი მამულიშვილის დაბადებიდან 206 წლისთავი

26 აპრილს, დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმში დიდი სტუმრიანობით აღინიშნა მისი 206 წლის იუბილე. ტრადიცია, რომელიც 2003 წლიდან მომდინარეობს, ყოველწლიურად უფრო მეტ სტუმარს ითვლის-იმ ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით პატივი მიაგეს დიმიტრი ყიფიანს და ქართული საზოგადოებისთვის უფრო ახლობელი გახადეს მისი პიროვნული ბუნება, ცხოვრება და მოღვაწეობა.

ღონისძიების ორგანიზებაში ერთიანად ჩაერთვნენ მუნიციპალიტეტის გამგეობა, განათლების, კულტურის, სპორტის სამსახური და, რა თქმა უნდა, ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი, რომელმაც ერთგვარი მასპინძლობა იკისრა. ღონისძიებას სტუმრობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, პროფესორები, მკვლევარები, მწერლები, დიმიტრი ყიფიანის შთამომავლები, რომელთათვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი იყო ეს დღე. ღონისძიება ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან დაიწყო, სადაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მოწვეულმა სტუმრებმა დაათვალიერეს ხაშურელი მხატვრის გელა გელაშვილის გამოფენა. მეორე ნაწილი უკვე ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმის ეზოში გაგრძელდა, სადაც გაიმართა კონცერტი ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით, სტუმრებმა ისაუბრეს დიმიტრი ყიფიანის ღვაწლსა და დამსახურებაზე საქართველოს, ქართული საზოგადოების წინაშე, მისი პიროვნების მიშვნელობაზე. კონცერტის დასრულების შემდეგ, სტუმრებმა უკვე სახლ-მუზეუმში გადაინაცვლეს, სადაც დაათვალიერეს უნიკალური ექსპონატები, რომლებიც დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებას და მოღვაწეობას ასახავს.

თამარ მიქაძე (დიმიტრი ყიფიანის შთამომავალი):

–ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა იყო დიმიტრი ყიფიანის შთამომავალი. რა თქმა უნდა, დღევანდელი დღეც მნიშვნელოვანია არა მარტო რაიონისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის, ჩვენი ოჯახისთვის, პირადად ჩემთვის. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ დიმიტრი ყიფიანის ხსენების დღე ასეთი სითბოთი და ყურადღებით აღინიშნება რაიონში, განსაკუთრებით ბოლო წლებში. ჩვენი დიდი ხნის ოცნებაა, რომ სახლ-მუზეუმს რესტავრაცია ჩაუტადეს. მაშინ ყველა პირობა შეიქმნება იმისთვის, რომ ეს ადგილი კულტურის დიდ კერად იქცეს, როგორც ეს დიმიტრი ყიფიანის დროს იყო.

რევაზ ნოზაძე (დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმის დირექტორი):

–2003 წლიდან თითქმის ყოველწლიურად აღვნიშნავთ დიმიტრი ყიფიანის დაბადების დღეს. მანამდე სარესტავრაციო იყო შენობა, მუზეუმის თანამშრომლების ძალებით აღდგა საგამოფენო დარბაზის სამხრეთ ნაწილი , სადაც დიმიტრი ყიფიანის მემორიალური დაფა და საგამოფენო ნივთები მოვათავსეთ. 2003 წელს უკვე დამთვალიერებლებიც მივიღეთ და ამ დღესაც აღვნიშნავთ. დღეს მისი დაბადებიდან 206 წელი შესრულდა.

რაიონის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით, მალე დაიწყება სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები. წელს, შემოდგომით, სრულდება დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალების 130, ხოლო მისი წმინდანად შერაცხვის 10 წლისთავი.

წელს, განსაკუთრებული სტუმრიანობაა. მოწვეული გვყავს მისი შთამომავალი, ქნ-ი თამარ მიქაძე, მამა მალხაზი (ყიფიანი), იგი მოძღვარია დიმიტრი ყიფიანის სახელობის ტაძრის, რომელიც ერთი წლის წინ გაიხსნა თბილისში. ამავე დროს, ლიტერატურის მუზეუმიდან გვყავს კოლეგები, მკვლევარები, თამაზ ჯოლოგუა, რომელმაც 10 ტომეული მიუძღვნა მის მოღვაწეობას და ცხოვრებას. აკაკი წერეთლის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკები, საგურამოს მუზეუმის დირექტორი. ადგილობრივი შემსრულებლები. ვგეგმავთ სხვადასხვა აქტივობებს, რომლებიც სამომავლოდ კულტურის კერად აქცევს დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმს.

თამაზ ჯოლოგუა (პროფესორი):

-თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დიმიტრი ყიფიანი არის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა, XIX საუკუნის განმავლობაში, ყველაფერი, რაც მის სახელს უკავშირდება, არის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი. შესაბამისად, ეს დღე, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება, არის მნიშვნელოვანი მოვლენა. ეს არის ეროვნული მნიშვნელობის. თუ რამე უნდა ვისწავლოთ ჩვენ დიმიტრი ყიფიანისაგან, ეს არის მომავლისა და საკუთარი ძალების რწმენა და იმედი იმისა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, იმიტომ, რომ დიმიტრი ყიფიანი მიიჩნევდა ასე და სინამდვილეშიც ეს ასეა. საზოგადოებას, რომელსაც არა აქვს საკუთარი ძალების რწმენა, მომავლის პერსპექტივის განცდა, იმ საზოგადოებას არა აქვს მომავალი.

ვაჟა შუბითიძე (ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე):

–დღევანდელი დღე თუნდაც იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ სიტყვა იქცა საქმედ და ჩვენ შეგვიძლია თავი მოვიწონოთ იმით, რომ გამოყოფილია თანხა, რომლითაც მოხდება სახლ-მუზეუმის სრული რეაბილიტაცია. აქ მოეწყობა უნიკალური მუზეუმი თავისი საკონფერენციო დარბაზით და იქნება არანაკლები მნიშვნელობის, ვიდრე წინანდალი ან საგურამო. აქ იქნება ერთგვარი სავანე ქართული

(დასასრული II გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება

№ 1683/
20 აპრილი, 2017 წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაე დავით ღვალაძის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის

„ა.გ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და დავით ღვალაძის 2017 წლის 19 აპრილის N1890 განცხადების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.ხაშურისმუნიციპალიტეტისგამგეობისიურიდიულიუზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნოს დავით ღვალაძე 2017 წლის 20 აპრილიდან;

2. ბრძანება ეცნობოს დავით ღვალაძეს;

3. ბრძანება ეცნობოს: ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ, იურიდიული უზრუნველყოფის და საბიუჯეტო სამსახურებს;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ

სასამართლოში(ქ. ხაშური კოსტავას ქ. N15) ერთი თვის ვადაში.

გამგებელი გიორგი გურასპაშვილი



დავით ღვალაძე დაიბადა 1973 წელს, 1990 წელს დაამთავრა ხაშურის რკინიგზის №4 საშუალო სკოლა, იმავე წელს ჩააბარა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, 1996 წელს დაამთავრა აღნიშნული ფაკულტეტის სრული კურსი. 1997-2006 წლებში მუშაობდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფებში, გამომძიებლის და ოპერატიული თანამშრომლის თანამდებობებზე, 2006-2009 წლებში- შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიების თანამდებობაზე, 2009-12 წლებში მუშაობდა შსს სასაზღვრო პოლიციის №2 სამმართველოს უფროსის მოადგილედ, 2014-17 წლებში- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ადვოკატად, ხოლო 2017 წლის 20 აპრილიდან დაინიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსად. 1994-96 წლებში გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური და არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი (მონაწილეობდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ საომარ ქმედებებში),ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ალინიშნა დიდი მამუღიშვილის დაბადებიდან 206 წლისთავი

(დასასრული)

კულტურის, ცენტრალურ რეგიონში, სადაც ქართული მწერლობის სული ტრიალებს. მნიშვნელოვანია,

რომ ეს თანხა სიმბოლურად არის გამოყოფილი

ცენტრალური ბიუჯეტიდან და მომავალ წელს ეს პრობლემა უკვე მოგვარებული იქნება.

ღონისძიებას შემოუერთდნენ პროექტ "ცოცხალი წიგნების" წარმომადგენლები,პოეტები, მწერლები, რომლებმაც საკუთარი და სხვა მწერლების, სხადასხვა ჟანრის წიგნები ჩამოიტანეს საჩუქრად, წაიკითხეს საკუთარი ლექსები, ნაწარმოებები.

ნინო გუგეშაშვილი (მწერალი, პოეტი)

–კულტურის სამინისტრო ახორციელებს პროექტს "ცოცხალი წიგნები", პროექტის ავტორია ქეთევან დუმბაძე. მწერლები, პოეტები, ავტორები ჩავდივართ სხვადასხვა რეგიონში, ვხვდებით ნებისმიერი ასაკის მკითხველს, ჩაგვაქვს წიგნები საჩუქრად, ვუწევთ ქართულ ლიტერატურას პოპულარიზაციას. დღევანდელი დღე ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია, ჩვენც ჩავერთვებით ჩვენი პოეზიით და შემოქმედებით.

ღონისძიების ბოლოს, პედაგოგიურ მეცნიერებასა და პუბლიცისტიკაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, დიმიტრი ყიფიანის სახელობის მედალი გადაეცა ჩვენს თანამემამულე ზურაბ ცუცქირიძეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია, უახლოეს ხანებში დაიწყება, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით მოხდება. პროექტი 2018 წელს დასრულდება, მისი ბიუჯეტი 887 000 ლარია.

თ. ჯავახიშვილი

სურათზე: (მარცხნივ): ასეთი იქნება დ. ყიფიანის სახლ-მუზეუმი რესტავრაციის შემდეგ.

ლიტვის საელჩოს საჩუქარი - ხაშურს კიდევ ერთი დასასვენებელი პარკი შეემატება

29 აპრილს, ხაშურის მუნიციპალიტეტში, მთელი რიგი ღონისძიებები გაიმართა. ნაყოფიერი დღის დასაწყისი, ყოფილი აგურის ქარხნის ტერიტორიის დასუფთავების აქცია გახლდათ. ჩვენს მკითხველს ახსოვს, გასულ თვეს, ლიტვის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა გიედრიუს პოუჯუნასმა, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელთან ერთად, აღნიშნული ტერიტორია დაათვალიერა, გადაწყდა, რომ დაიწყებოდა დასასვენებელი პარკის მშენებლობა, რომელიც მთლიანად ლიტვის მხარის ფინანსური მხარდაჭერით და ასევე, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანადგომით განხორციელდება. შესაბამისად, იმ დღევანდელი აქტივობა, ამ უდიდესი პროექტის სრულყოფის საქმეში პირველი გადადგმული ნაბიჯი იყო. დასუფთავების აქციაში მონაწილეობდა თავად ბატონი ელჩი გიედრიუს პუოჯუნასი, საქართველოში ლიტვის საელჩოს თანამშრომლებთან ერთად, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი ოჯახთან ერთად. საქართველოს პარლამენტის წევრი, ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი სიმონ ნოზაძე, ბიუროს წარმომადგენლებთან ერთად, შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის პირველი მოადგილე იოსებ ოქრომელიძე და სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლები, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპების წარმომადგენლები, ძალები არ დაიშურეს ტერიტორიის მიმდებარედ მცხოვრებმა მოსახლეობამ და მათაც დიდი წვილი შეიტანეს აღნიშნულ აქციაში.

(დასასრული IV გვერდზე)

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ხაშურის მოამბე №16)

პეტრე კაპანაძე - სტალინის ხაშურელი მეგობარი

25 წელი გავიდა ისე, რომ სოსო აღარ მინახავს. 1926 წელში მაცნობეს, რომ სოსოს ჩემი ნახვა უნდოდა, როცა მივედი ხაშურის სადგურზე, დავინახე მატარებელში, მომესალმა, მაგრად ხელი ჩამომართვა და მითხრა – სერგოს არ იცნობო? ამ დროს სერგო ორჯონიკიძეც გამოჩნდა და სოსოს შეეკითხა: - ეს არის ის ამხანაგი, რომელზედაც წუხელ მელაპარაკებოდიო?"

1993 წელს ალმანახ „კრიტიკაში" გამოქვეყნდა შოთა ლეკიშვილის საინტერესო მოგონება- „დაუვიწყარი ამბავი", რომელშიც ავტორი მოგვითხრობს 30-იანი წლების დასაწყისში, თუ როგორ მოახერხა პეტრე კაპანაძემ მთაწმინდაზე ილია ჭავჭავაძის საფლავის გადარჩენა.

შ. ლეკიშვილი წერს:

1933 წელი იგდა. მე თბილისში, მახარაძის ქუჩა №12.-ში მცხოვრები ახალგაზრდა ბიჭი, ხშირად ავდიოდი მთაწმინდაზე და ვათვალიერებდი ჩვენი ცნობილი მწერლების საფლავებს. ყოველთვის პირველად დიდი ილია ჭავჭავაძის საფლავთან მივდიოდი ხოლმე; იმიტომ, რომ გულზე მაწვა მისი მკვლელობის ამბავი! აპრილის თვე იყო, ძალზე კარგი ამინდიც, ავედი მთაწმინდაზე და ილიას საფლავთან მივედი. ვნახე, რომ ილიას საფლავთან - ხუთი მუშა კაცი იჯდა წერაქვებით და ბარ-ნიჩბებით შეიარაღებულნი. ძალზე არ მესიამოვნა ეს ამბავი და ვკითხე მათ ბრიგადირს „რატომ ზიხარ, ბიძიკო, ამ საფლავთან მეთქი! მან ხმამაღლა მიპასუხა: „ჩემი სიკვდილისთვის ვზივარ შვილოვო! დავალებული გვაქვს, ილიას აქედან ამოღება და კუკიის სასაფლაოზე გადატანაო: მე ქართველი კაცი ვარ და ვერ ვინელებ ამ ამბავსო!" ტანში ჟრუანტელმა დამიარა და ამ კაცის სიტყვებმა მომცა საშუალება მომეგონებია და მეთქვა ტყვილი: ბიძია, ეს ამბავი გაუგია პეტა კაპანაძეს, იმ პეტას, რომელიც ინახავდა და იფარავდა სტალინს, არალეგარული მუშაობის დროს და წასულა მოსკოვში, რომ თხოვოს სტალინს ხელი არ ახლონ ილია ჭავჭავაძის საფლავს. ამიტომ დავუცადოთ, რას იტყვის სტალინი-მეთქი. შენი ოჯახი აშენდეს ბიძიკოვო, მითხრა ბრიგადირმა, მე ხელს არ ვახლებ საფლავს და მუშებს უკან წავიყვან, მხოლოდ შენ ეს ამბავი უნდა მოახსენო ქალაქის საბჭოს აღმასკომის საამშენებლო განყოფილებას, რომელმაც მე აქ გამომგზავნაო. მე იმ წუთშივე გავიქეცი აღმასკომში და ყველაფერი დაწვრილებით მოვახსენე სამშენებლო განყოფილების უფროსს (გვარი არ ჩამიწერია მისი). უფროსმა მითხრა ალალი იყოს ის ქართველი დედის ძუძუ შენზე, რომელიც გიწოვიაო... მხოლოდ ამ ხმებს ნუ გაავრცელებ ქალაქშიო... მე რა დამაძინებს იმ ღამეს, როცა ილიას საფლავი არ გვექნება მთაწმინდაზეთ: ასე მითხრა იმ კეთილშობილმა ქართველმა კაცმა. მე დიდი მადლობა გადავუხადე და წავედი სახლში.

სახლში რომ მივედი, ვისადილე და ჭამის დროს ვფიქრობდი, როგორ მენახა პეტა კაპანაძე. ხალხის გადმოცემიდან ვიცოდი, რომ ის ცხოვრობდა ხაშურში. მეორე დილას ადრე ავდექი, მივედი თბილისის რკინიგზის სადგურში, ჩავჯექი ბათუმში მიმავალ მატარებელში, დილის 11-30 საათზე ჩავედი ხაშურში. იქაურ ადამიანებს ვკითხე პეტა კაპანაძის მისამართი. ერთმა ხანშიშესულმა ქალმა მითხრა მისამართი, თან გამომყვა და თითით მაჩვენა ეზო და სახლი. მე დიდი მოკრძალებით შევედი შეუღობავ ეზოში და დავდექი სახლის ახლოს. რამდენიმე წუთის შემდეგ, სახლიდან გამოვიდა ხანშიშესული კაცი და მკითხა, ვინ გნებავთ, შვილოვო! მე ვუთხარი პეტა კაპანაძე ბატონო - მეთქი! გაეღიმა და მითხრა, პეტა კაპანაძე მე ვარ, შვილო, მაგრამ ბატონის თქმა რომ აკრძალულია ჩვენშიო, ეს ხომ იცი! ახლა კი მითხარი რა გნებავთო: მე მოვუყევი ყველაფერი ილია ჭავჭავაძის საფლავის ირგვლივ და მისი ცხედრის გადატანის შესახებ კუკიის სასაფლაოზე და ისიც ვუთხარი, რომ ხმა დავყარე თითქოს წასული ხართ მოსკოვში სტალინთან საკითხის მოსაგვარებლად-მეთქი. პეტა კაპანაძე, ცუდ ხასიათზე დადგა და ასე მითხრა, ბიჭო! რა კეთილი ოჯახის შვილი და დიდი ილიას მოყვარული ბიჭი ყიფილხარ, შენ დიდხანს უნდა იცოცხლოვო; მე, შვილო, მაინც მივდივარ მოსკოვში, სტალინის დეპეშა და წერილი ხელთა მაქვს, მაგრამ რაკი საქმე ასეა, ხვალვე გავემგზავრები მატარებლითო და სტალინს ყველაფერს ვეტყვიო-ილიას საფლავის ხელუხლებლობის შესახებ და იმასაც ვეტყვი, რომ ეს ამბავი მომიტანა სრულიად საიდუმლოდ ერთმა ახალგაზრდა ბიჭმა შოთა ლეკვეიშვილმა, რომელიც დარაჯობს ილიას საფლავს-მეთქი.

მე, შვილო, სასულიერო წოდების კაცი ვარ, ყოფილი მღვდელი, სპეციალობით პედაგოგი მასწავლებელი და მიყვარს ის ახალგაზრდები, რომლებიც ასე იცავენ თავის მწერლებს, თავის მოღვაწეებს და თავის ერსო! (თუმცა დღევანდელ პირობებში ერის დაცვაზე ვერაფერს იტყვიო...) ხომ ხედავ, როგორ ამუშავებენ ერის მამას ილია ჭავჭავაძეს და საფლავშიაც აღარ აყენებენო...

მაშ ასე, შვილო, მე წავედი მოსკოვში და ვფიქრობ, კარგ ამბავს ჩამოგიტანო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ისე გამოვემშვიდობე პეტა კაპანაძეს და წამოვედი თბილისში. ორიოდე კვირის შემდეგ, ქალაქის საბჭოს აღმასკომის სამშენებლო განყოფილებაში შევიარე, კარები რომ შევაღე ხმამაღალი ლაპარაკი მომესმა-ილია ჭავჭავაძის საფლავის ირგვლივ. ვიღაც სიხარულით ამბობდა პეტა კაპანაძის ჩასვლას მოსკოვში უქმად არ ჩაუვლია, სასწრაფო განკარგულებაა, ხელი არ ახლოთ ილიას საფლავსო.

სახლში რომ წამოვედი ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მეორე დღესვე ვეწვიე პეტა კაპანაძეს ხაშურში. კარზე რომ ჩემი თითები ახმაურდა, მაშინვე გაიღო კარი და პეტა კაპანაძემ შინ შემიპატიჟა. „ზალაში" სამი ადამიანი იჯდა, ორი კაცი და ერთი ქალი. პეტამ მათ ხელგაშლით უთხრა, მოვიდა ილია ჭავჭავაძის საფლავის დარაჯიო, ისინი ფეხზე წამოდგნენ, ხელი ჩამომართვეს და ასე მითხრეს, იმრავლოს შენისთანა ქართველებმაო.

გაიმართა საუბარი, პეტამ მოჰყვა მოსკოვში მოგზაურობის ამბავი, და თქვა: სტალინთან რომ შევედი, ორი კაცი ჰყავდა კაბინეტში, სტალინი ფეხზე წამოდგა, ხელი ჩამომართვა და მითხრა, დაბრძანდითო, იმ ორ კაცს კი, უთხრა, ეხლა ჩვენ ამ ახალ სტუმართან ქართულად გვექნება საუბარი და თქვენ შეგიძლიათ, დაგვტოვოთო.... ისინი ადგნენ და წავიდნენ.

მე ჩვეულებისამებრ მოუყევი ჩემი ცხოვრების ამბავი, მერე საქართველოს ამბები, და ძალზე გულნატკენად ვუთხარი ილიას საფლავის ხელყოფის შესახებ. რა მოხდაო, საფლავს რაღას ერჩიანო, მითხრა სტალინმა, აიღო ტელეფონი და დარეკა თბილისში, იმ დროს სხვა ტელეფონები აწკრიალდნენ და ვის დაურეკა, არ ვიცი. მე კი ასე მითხრა, ჩემო პეტა, თქვენ შეგიძლიათ, დამშვიდდეთ. ილიას საფლავს კაცი ხელს ვერ ახლებსო. მას ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, ამით დამთავრდა ყველაფერი, მე დიდი მადლობა მოვახსენე და სამი დღის შემდეგ წამოვედი მოსკოვიდანო. აი, ჩვენო ბიჭო, შენს დარაჯობას უქმად არ ჩაუვლიაო... ამიტომ მე შენ მოგცემ სტალინის ხელით დაწერილ წერილს და მის გამოგზავნილ დეპეშას, რომელიც უკვდავი საბუთი იქნება იმისა, რომ შენ ჩემთან დადიოდიო, ეს წერილი და დეპეშა შენს უჯრაში იდოსო!

მე სიხარულით გამოვართვი წერილი და დეპეშა. მადლობა მოვახსენე და წამოვედი.

თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდათ იოსებ სტალინსა და პეტრე კაპანაძეს, ამის შესახებ უნდა მოვიხმოთ პეტრეს კიდევც ერთი მოგონება, რომელიც 1936 წლის ზაფხულში იმყოფებოდა ბელადთან:

„1936 წელს, 20 ივნისს, მოსკოვში ჩავედი.

სერგო ორჯონიკიძემ გაიგო ჩემი მოსკოვში ყოფნა. ამხ. სერგოს ჩემი იქ ყოფნის ამბავი გადაეცა ამხანაგ სტალინისათვის. მას ეთქვა, რატომ არ წამოიყვანეო? 25 ივნისს მოსკოვის დასათვალიერებლად გავიარე. სწორედ ამ დროს გამოგზავნა სერგოს ჩემთვის მანქანა წასაყვანად. მე არ დავხვდი. როდესაც მოვედი ეს ამბავი დამახვედრეს-მეწყინა.

4 ივლისს მოვიდა ამხანაგი სტალინის გამოგზავნილი კაცი (ჩემი სიძის და შვილის მისამართი სცოდნოდათ) გაიგო, რომ ჯერ ისევ მოსკოვში ვიმყოფებოდი, და მითხრა – არსად წახვიდე, მოვლენ და ამხანაგ სტალინთან წაგიყვანენო. ძალიან გამიხარდა. 7 ივლისს მოვიდა მანქანა და მიმიყვანეს სერგოსთან. პეტრე, დღეს სოსო გვპატიჟებს სადილადო. მე მადლობა გადავუხადე, შემდეგ მან გამოსწია თავის მაგიდის უჯრა და ამოიღო ბროლის შუშაზე გადაღებული სოსოს სურათი და მომცა. აი, პეტრე ეს შენ, სახსოვრადო (ეს ყველაზე მეტი საჩუქარი იყო ჩემთვის). რამდენიმე ხნის შემდეგ ჩავსხედით ავტომობილში და წავედით ქალაქგარეთ – აგარაკზე ამხანაგ სტალინთან. დაგვინახა თუ არა სოსომ, მოგვეგება მხიარული სახით. გამომკითხა ჩემი მდგომარეობის შესახებ. მოიგონა ბევრი რამ ჩვენი წარსულის ცხოვრებიდან. სერგოც ძალინ კარგ გუნებაზე იყო. სადილი გაშალეს გარეთ ბაღში, დია ცის ქვეშ. სამი ვიყავით -ამხანაგი სტალინი, სერგო და მე. სოსომ მხიარულად ჩაატარა სადილი. სადილის გაშლის სოსომ მითხრა: პეტა, მე და სერგო სხდომაზე მივდივართ, შენ ბაღში გაისეირნე, თუ მოგწყინდეს, წამოწექი და დაიძინე, მე როცა იქნება მოვალო. რადა შეგაწუხო, შვილებთან წავალ – მეთქი (სიძე, ქალიშვილი და ორი ვაჟი მოსკოვში ცხოვრობენ) კარგი, ხვალ ხუთ საათზე გამოვგზავნი მანქანას და ყველანი მოდით ჩემთან.

მიმიყვანეს ბინაზე და წავიდნენ, სახლში რომ შევედით, შვილები შემომესივნენ და დამიწყეს კითხვა, მართლა თუ ვნახე სტალინი, ვნახე და ხვალე ხუთ საათზე სადილად დაგპატიჟათ-მეთქი. ეს არ დაიჯერეს, მეორე დღეს, 8 ივლისს, ხუთი საათი რომ შესრულდა ამხანაგ სტალინისგან მოვიდა კაცი და მითხრა, სხდომა გრძელდება და მანქანა მოვა 2 საათზეო. ამ დროისათვის მოვიდა ამხანაგ სტალინისგან მანქანა. ჩავსხედით მე, ჩემი სიძე, ჩემი ქალიშვილი, ვაჟები და მოვედით ამხანაგ სტალინთან. თავაზიანად მიიღო ჩემი შვილები,- ესაუბრა მათ. ილაპარაკა ქართველ მწერლებზე, მთელი ლექცია წაიკითხა ქართულ ტომებზე, დაასახელა მათი ძველი მიწა-წყალი და ქალაქები, რომლებსაც დღესაც შენარჩუნებული აქვს ქართული სახელები. ილაპარაკა ჩვენს გლეხობაზე. მე ვუთხარი, რომ ქართველი გლეხი ახალგაზრდობა აღარ დაიარება ქალამნებით და ნაბდის ქუდით - ატარებს ევროპულ ტანისამოსს და ეწაფება სწავლას. ყოველ სოფელში სკოლაა. ათწლედს აღარ ჯერდებიან მეთქი.. პეტა. მაშ, ჩვენი ქართველი გლეხი აღარ ხმარობს სიტყვას „ქაღალდს"? მიუბრუნდა ჩვენს შვილებს და უთხრა: წიგნს, წერილს, რვეულს- ყველას ქაღალდს უწოდებდა ქართველი გლეხი. მე კი ვუმტკიცებდი, ეხლა აღარ უძახიან „ქაღალდს"-მეთქი. არა, არ დავიჯერებ, მანამ ჩემი ყურით არ გავიგონებ, რომ წიგნს, წიგნს დაუძახებენ და არა „ქაღალდსო. აქაც ამხანაგი სტალინი მართალი გამოდგა. სწავლის დაწყების წინ ხაშურის წიგნის მაღაზიასთან დიდი რიგი იდგა. ჯიდულობდნენ სახელმძღვანელოებს, მეც იქ ვიდექი, მოვიდა სოფლელი ჩემი ნათესავი კაცი და მითხრა: პეტრე, შვილი მივაბარე სკოლაში და იქნებ ქაღალდები გამომირთვა. მე ვერ მივუდექი და უქაღალდოდ რას ისწავლისო. მომაგონდა ამხანაგ სტალინის ნათქვამი, რომ ჩვენი გლეხი ჯერაც ყოველგვარ წიგნს „ქაღალდს" უძახისო. შემდეგ წაგვიყვანა ბაღში, გვაჩვენა ნამყენი ვაშლები, შემდეგ კი მიგვიწვია სუფრაზე, გვადღეგრძელებდა ყველას სათითაოდ და თან საუბრით გვართობდა.

თორმეტი საათი იქნებოდა, მოვიდა სერგო თავისი ცოლით. სერგოს და მის ოჯახობას-ზინას სასიამოვნოდ დარჩათ ჩვენი „კომპანია". რამდენიმე ხნის შემდეგ სერგო მეუღლით გამოემშვიდობა სოსოს. ჩვენ კი სოსომ შეგვიყვანა, იმერული და სვანური სიმღერები დაუკრა პატეფონზე, არც ერთი სიმღერა არ დაუტოვნია. მისი ვაჟი ვასო და ჩემი შვილი ალექსი ერთად ისხდნენ. ჩემი შვილი შეეკითხა, ქართულად ლაპარაკობთ თუ ვერაო. „ცოტა ვიცი, მამა მასწავლის ხოლმე, რომ შემეშლება, ჯავრობს".

ღამის უკვე ორი საათი შესრულდა. გამოგვემშვიდობა და გამოგვისტუმრა, მეტად კმაყოფილი დავრჩით ასეთი გულთბილი შეხვედრით".

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის გიორგი ტაბატაძის პირად არქივში ინახება პეტრე კაპანაძის ორი წერილი.

1933 წლის იანვარ-თებერვალში პეტრე კაპანაძე კვლავ მოსკოვშია სტალინთან. „მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალი მასთან (ი. სტალინთან-თ.ლ), ოჯახში, სტუმრობაში გავატარე, დიდი პატივი მცეს" – იგონებდა პეტრე. აკად. კორნელი კეკელიძეს ფონდში დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში) რამდენიმე წერილი იპყრობს ყურადღებას, რომელიც ი. სტალინს შეეხება. მიხეილ (მიხაკო) ელიზბარაშვილს 1938 წლის 4 ივნისს ხაშურში მცხოვრები და სურამში ბუღალტრად მომუშავე შაქრო ხვადაგაძე სწერს:

„...უსათუოდ უნდა ვინახულო ის არე-მარე (თბილისი-ბ.დ), სადაც ცხოვრების საუკეთესო წლები გავატარე. როგორც შენ იწერები, მართალია, მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი, მაგრამ მოწაფეობის თავისებური კარგი მხარეებიც ჰქონდა, რომლებსაც მაშინ ჩვენ ვერ ვამჩნევდით. ჩვენი კურსი, რომელიც ყოველმხრივ მძლავრი იყო და რომლისთანაც შემდეგში თბილისის სემიანრიას არ ახსოვს. მართალია სხვადასხვა მიზეზებით ჩვენ ჩამოვრჩით, მაგრამ სამაგიეროთ ჩვენი კურსიდან ისეთი ისტორიული პიროვნება მოევლინა კაცობრიობას, რომლითაც ჩვენ უნდა ვიამაყოთ. მასხოვს ჩვენი ქართული ხორო, სოსოს წკრიალა ტენორი, სიმღერა ოთხხმიანი „შევსვათ ხელადით ღვინო" და სხვები. ასე მგონია, რომ მოვიგონებ, გუშინ იყო ეს ყველაფერი-მეთქი. ჩვენმა სემინარიამ (...) ბევრი საზოგადო მოღვაწე მისცა ხალხს. კორნელი კეკელიძეც ხომ გახსოვს, ახლა რომ პროფესორია.

(...) ჩვენი ამხანაგობა აქ ბევრი არავინ არის. პეტრე კაპანაძე არის, კარგად ცხოვრობს. სოსომ ძალინ დახმარება გაუწია ფულით და უმეტესად კი ისე ასწია მისი ავტოპორტრეტი, რომ ახლა ყველა ანგარიშს უწევს, ბერიასთან ისე შედის, როგორც თავის სახლში. თბილისში ბინა მისცა, მაგრამ თვითონ არ წავიდა, შვილს დაუთმო თბილისის ბინა..."

ი. სტალინის მიერ თანაკურსელ პეტრე (პეტა) კაპანაძისადმი პატივისცემის შესახებ შაქრო 1939 წლის 6 აპრილს იმავე მიხეილს ატყობინებს: „ამ ორი დღის წინეთ ვნახე პეტრე. მოსკოვიდან მარტის გასულს ჩამოვიდა. ორი თვე იყო მოსკოვში, თითონ სოსომ დაიბარა. იქიდან კაცი ჩამოვიდა და წაიყვანა. მისი მოგზაურობის მიზანი ჩვენთვისაც საიდუმლოა... "

ომის პერიოდში ი. სტალინთან შეხვედრის კიდევ ერთი ეპიზოდია გადმოცემული გიორგი ტაბატაძისადმი გაგზავნილ წერილში. ამ დროს გ. ტაბატაძე ფრონტზეა, ეს წერილი დიდი იმედის ჩამსახველი უნდა ყოფილიყო მისთვის და არამარტო მისთვის.

წერილი 1944 წლის 16 მარტითაა დათარიღებული. „ჩემო ძვირფასო და სასურველო გიორგი! – ვკითხულობთ წერილში, - სიყვარულით მოგიკითხავ, გისურვებ ყოველივე სიკეთეს, გაგიმარჯოთ წითელ- არმიელებს, რომ მიერეკებით და ანადგურებთ კაცობრიობის დაუძინებელ მტერს-გერმანელ ფაშისტებს. უსათუოდ მალე გავიგონებთ, რომ მტერი საბოლოოდ განადგურებულიაო.

გოგი! თქვენები – კარლოთი კარგად არიან. მამაშენი ძალიან სწუხს, თანაც მოხუცდა, შენი წერილი მივიღე იმ დროს, როდესაც გზას ვადექი მოსკოვისაკენ გამგზავრებული. მოსკოვში გამომიძახა ჩემმა სიყრმის მეგობარმა სოსომ, ენაცვალოს მას ჩემი სიყრმე... იცოდე გოგი! ძალზე მაგარად და კარგადაა საქმე, თორემ რა დროს ჩემი მოგონება იყო. დაბრუნებისას მოგწერ კიდევ. სალამი და გამარჯვება. შენი პეტრე კაპანაძე.

პროფ. გურამ შენგელია იგონებს: „ქალაქ ხაშურის მკვიდრი ძველი პედაგოგებიდან კარგად დამამახსოვრდნენ ბესარიონ ძნელაძე და პეტრე კაპანაძე, რომელიც ხაშურში ჩემი მოწაფეობის პერიოდში სკოლის დირექტორად მუშაობდა. საზოგადოებრიობა განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდა მათ მიმართ. პირველ-კლასელ ფრიადოსან მოსწავლეს ბატონმა პეტრემ პირადად გადმომცა მის მიერ ხელმოწერილი ქების სიგელი. სიმპატიური გარეგნობის დირექტორი გამოირჩეოდა კეთილგანწყობით, გულისხმიერებით, ჭეშმარიტი მოძღვრისათვის დამახასიათებელი თვისებებით. იყო

(დასასრული IV გვერდზე)

(დასასრული)

პეტრე კაპანაძე - სტალინის ხაშურელი მეგობარი

იოსებ სტალინის უახლოესი მეგობარი გორის სასულიერო სასწავლებლიდან. მისი მოწაფეობის პერიოდს უძღვნა გახმაურებული წიგნი „ბელადის ბავშვობა და ყრმობა." თავად სტალინის განსაკუთრებული დამოკიდებულება პეტასადმი (ასე მიმართავდა პეტრეს ი. სტალინი. - გ.შ.) მკაფიოდ ჩანს მათი მიმოწერიდანაც, ბელადი გამოეხმაურა სიყრმის მეგობრის თხოვნას. სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით ფინანსური დახმარების გაწევის თაობაზე, გთავაზობთ პეტრე კაპანაძისადმი საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ დეპეშის და წერილის ქსეროასლებს, რომლებშიც ვკითხულობთ:

„ელვა. საქართველო, სადგური ხაშური, სახალხო მასწავლებელს. პეტრე კაპანაძეს. შენი წერილი გადმომცეს გვიან საღამოს, ორი თვის დაგვიანებით. შენი თხოვნა შესრულებული იქნება.

სალამი, „სტალინი"

ქართულ ენაზე დაწერილ მოკლე წერილში ი. სტალინი მეგობარს სწერდა: „პეტას გაუმარჯოს! ჩემი დეპეშა, როგორც ჩანს, მიგიღია. გიგზავნი ორი ათას მანეთს. მეტი არა მაქვს ,ეს ფული ჩემი ჰონორარია. ჩვენ აქ ჰონორარს არ ვიღებთ საზოგადოდ – მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ვიღებთ ხანდახან. შენი გაჭირვება ჩემთვის განსაკუთრებული შემთხვევაა და ამიტომ ავიღე ჰონორარი, რომ შენთვის გამოვიყენო. გარდა ამ ფულისა, შენ მოგცემ სესხად 3000 მანეთს. მე ვუთხარი ამის შესახებ ბერიას (ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი) და იმან სიტყვა მომცა – უეჭველად აღვასრულებო. მაშ ასე, 2000 მანეთი მიიღე ისე, როგორც ჩემი მეგობრული ნობათი და 3000 მანეთი, როგორც სესხი. იცოცხლე მრავალ ჟამიერო, შენი სოსო. 7. 12. 33 წელი". ამაგმოხდილი პედაგოგი პეტრე კაპანაძე, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა ქალაქ ხაშურში და ასევე რეგიონში სახალხო განათლების განვითარებაში, დაკრძალულია ხაშურში, ეგრეთ წოდებულ ძველ სასაფლაოზე, ეკლესიის მახლობლად დაკრძალვას მეც ვესწრებოდი. მახსოვს, გარდაცვლილის სახელზე მოსულ დეპეშებს შორის იყო იოსებ სტალინის დეპეშაც."

სიყრმის მეგობარი პეტრე კაპანაძისთვისაც დიდი ბელადი, მამა და მასწავლებელი იყო, თუმცა მეგობარი, როგორც ამას თავად პეტრე აღნიშნავს, მას ამას არასოდეს აგრძნობინებდა.

„ჩვენ დიდი ბელადი, მამა, მასწავლებელი და მეგობარი ისევ ის თავდაბალი, უბრალო, გულწრფელი, კაცთმოყვარე, თავაზიანი, როგორიც ბავშვობაში იყო და ახლაც არ გაგრძნობინებს, რომ ის ბელადია."

დიდი ბელადი, მამა, მასწავლებელი და მეგობარი...

ასეთად დარჩა პეტრე კაპანაძისათვის სიყრმის მეგობარი-სოსო ჯუღაშვილი სიცოცხლის ბოლომდე, იოსებ სტალინის სახელით რომ იცნობდა მსოფლიო.

ასე სწამდა და სჯეროდა სახალისო მასწავლებელს, რწმენას კი ვერავინ და ვერაფერი შეაცვლევინებდა, რადგან მის თვალწინ ჩაევლო ერთი უბრალო ოჯახიდან გამოსული პატარა სოსოს (სოსელოს) აღზევებას.

ბევრი რამ უცნობია მათი შეხვედრებიდან, ან რას იხსენებდნენ და ან რაზე საუბრობდნენ როცა განცალკევდებოდნენ, როცა სხვებისაგან მარტო რჩებოდნენ. რას გრძნობდა პეტრე, ან რამდენად გულახდილი იყო მასთან ბელადი, ან თავად პეტრე რა დოზით იჩენდა გულახდილობას, როგორ იხსენებოდა ბელადთან. ერთი რამ მაინც შეიძლება ითქვას, მათ ურთიერთობას გულახდილობა რომ არ აკლდა კარგად იგრძნობა ბელადის სიტყვებიდან, რომლის შემონახვასაც პეტრეს მიაწერენ. ეს სიტყვებია: ჩემს საფლავს ბევრ ნაგავს მიაყრიან, მაგრამ ისტორიის ქარი დაუნდობლად გაფანტავს მას.

პეტრე კაპანაძე გარდაცვალა 1949 წლის ივნისში. იმ დღეებში ხაშურში გავრცელდა ხმა, რომ იოსებ სტალინი ჩამოვიდოდა მეგობრის დაკრძალვაზე. ხაშურლები საოცარი ინტერესით ელოდნენ ბელადის ჩამოსვლას... მაგრამ ისე დაიკრძალა პეტრე კაპანაძე, რომ სტალინი ხაშურში არ ჩამოსულა. ალბათ, ეს შეუძლებელი იყო, უბრალოდ, ხაშურლებს ქონდათ სურვილი ბელადი ეხილათ მეგობრის დაკრძალვაზე, თუმცა მათი სურვილის ასრულება შეუძლებელიც იყო... იოსებ სტალინი ხაშურში, ბორჯომის ქუჩაზე მართლაც, გაჩერდა, როცა ის ბორჯომში ისვენებდა 1951 წელს, გამოელაპარაკა ბავშვებს... მისი შვილიშვილი ევგენი ჯუღაშვილი იგონებს: „მისი (სტალინის –თ.ლ) გორში გამგზავრების შესახებ იცოდა ბორჯომისა და ხაშურის ბევრმა მცხოვრებმა. ერთ-ერთმა ხაშურელმა მიამბო, რომ სტალინმა გორის გზაზე, სოფელ ოსიაურთან, გააჩერებინა მანქანა. სუფრა ტყეში გაშალეს. წახემსების შემდეგ, სტალინმა ჩიბუხს მოუკიდა და ასანთი მაგიდაზე დატოვა. როდესაც მანქანები გაემგზავრენ, ამ გლეხმა აიღო ეს ასანთი და მთელი ცხოვრება „ოქროს სუვენირივით" ინახავდა".

P.S. 2014 წლის გამოზაფხულზე გორიდან მომაკითხეს მუზეუმში. პეტრე კაპანაძის საფლავი აინტერესებდათ. ავედით გორათზე, რატომღაც მეგონა, ადვილად მივაგნებდი საფლავს. გორელებს ყვავილები და შამპანიური წამოეღოთ, ჭიქის წაქცევა უნდოდათ თავიანთი დიდი თანამემამულის მეგობრის საფლავზე. ბევრი ვეძებეთ საფლავი, მაგრამ ამაოდ. მერე პეტრეს სამეზობლოში ჩამოვედით, აქაც ვერაფერი გვითხრეს. ის თაობა, რომელსაც უნდა სცოდნოდა, აღარ იყო. დავუკავშირდით სხვა ხაშურლებსაც, მაგრამ... შემდეგ პეტრეს შთამომავლებს თბილისში, დაგვიდასტურეს, რომ გორათზეა დაკრძალული, აუცილებლათ გვიჩვენებენ საფლავს, როცა ხაშურში იქნებიან, თუმცა, ახლო ხანში ვერ ახერხებენ ჩამოსვლას.

ჩვენ მაინც გავაგრძელეთ დამოუკიდებლად ძიება, ხანად მხოლოდ ის გავარკვიეთ, რომ იგი დაკრძალულია გორათის სამხრეთ ფერდობზე... მერე აღმოსავლეთის ფერდობზე მიგვათითეს. ავედით მოსაძებნად, მაგრამ ამჯერადაც ხელმოცარულები დავრჩით...

იმედია, ახლო მომავალში მაინც მივაგნებთ სტალინის სიყრმის მეგობრის განსასვენებელს.

თამაზ ლაცაბიძე

(დასასრული)

ლიტვის საელჩოს საჩუქარი - ხაშურს კიდევ ერთი დასასვენებელი პარკი შეემატება

გიორგი გურასპაშვილი: (ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი) დღეს, ხაშურში მნიშვნელოვან საქმეს ჩაეყარა ბაზისი, რომელიც ქალაქის იერსახეზე ზრუნვისთვის გადადგმული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. ლიტვის საელჩოს უამრავი სასიკეთო საქმე აქვს ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის გაკეთებული: რამდენიმე სკვერი, ბიბლიოთეკის პროექტები, ავტობუსის გაჩერების კეთილმოწყობა და ა.შ. პირადად ლიტვის ელჩმა გიედრიუს პოუჯუნასმა გადაწყვიტა, სწორედ აქ, ყოფილი აგურის ქარხნის ტერიტორიაზე, დასასვენებელი პარკის მოწყობა, რომელიც მნიშვნელოვანი, რეკრეაციული ზონა იქნება როგორც უშუალოდ უბნის მაცხოვრებლებისათვის, ასევე მთლიანად ქალაქისათვის და მომავალი თაობისათვის. დაახლოებით ერთი წელია ვმუშაობთ ამ საკითხზე და აღვნიშნავ, რომ პარკი ფუნქციურადაც დატვირთული იქნება,

სამომავლოდ მრავალი დღესასწაული და ღონისძიება დაიგეგმება. უღრმესი მადლობა ლიტვის საელჩოს და ბატონ ელჩს ამ სასიკეთო საქმის განხორციელებისათვის და აქ მყოფ თითოეულ ადამიანს დასუფთავების აქციაში მონაწილეობისათვის, მათი თანადგომა ნამდვილად დასაფასებელია.

გიედრიუს პოუჯუნასი (ლიტვის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში): მომავალ წელს აღინიშნება საქართველოსა და ლიტვის დამოუკიდებლობის აღდგენის ასი წლისთავი. ამ დღესთან დაკავშირებით, ვიქრობდით თუ რისი გაკეთება შეიძლებოდა საქართველოსათვის ჩვენი მრავალწლიანი მეგობრობის გამო და გადავწყვიტეთ, ამ ადგილას მოვაწყოთ დასასვენებელი პარკი. დიდი საქმეები პატარა საქმეებით იწყება, თქვენი თანადგომით, დღეს, ეს ადგილი ნაგვისაგან და ნარჩენებისაგან გაიწმინდება, და ერთი წლის თავზე, ეს ადგილი სრულიად შეცვლილი იერსახით იქნება. დღეს კი გავაერთიანოთ ძალები და ერთად ვიზრუნოთ ქალაქის გარემოს გამჯობესებისათვის.

დიანა გელაშვილი (პროექტის კოორდინატორი): დღეს საფუძველი ეყრება ჩვენი ქალაქისთვის მეტად მნიშვნელოვან საქმეს, საკმაოდ მძლავრი პროექტია ტერიტორიიდან გამომდინარე, თქვენც ხედავთ, საკმაოდ დიდი ფართობია. დღეს პირველი ნაბიჯი გადაიდგა, დასუფთავდა აღნიშნული ტერიტორია ეტაპობრივად კი დასრულებულ სახეს მიიღებს. 2018 წელს, საქართველო და ასევე ლიტვაც დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავს ზეიმობს, ამ დღესთან დაკავშირებით, სიმბოლურად, ლიტვის საელჩოს ფინანსური მახარდაჭერით და ხაშურის მუნიციპალიტეტის თანადგომით, ქალაქს ექნება ახალი დასასვენებელი პარკი.

ინგა გრიგალაშვილი (ჭალის უბნის მცხოვრები): დიდი სიამოვნებით ვიღებ დღევანდელ დასუფთავების აქციაში მონაწილეობას. წლების განმავლობაში ეს ადგილი ნაგავსაყრელად და ცხოველების საძოვრად იყო ქცეული, შესაბამისად, მივესალმებით თუ ეს მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვლება და ამ ადგილას დასასვენებელი პარკი გაშენდება. ასევე სასიხარულოა რომ სექტემბრიდან საბავშვო ბაღიც დაიწყებს ფუნქციონირებას, წლების განმავლობაში ბაღი არ არსებობდა ახლომახლო ტერიტორიაზე და ახალი სასწავლო წლიდან ესეც გვექნება. დღეს, ჩემი ორი შვილით ვარ მოსული და სამივე, ერთიანი ძალებით ვასუფთავებთ გარემოს, ეს ყველაფერი ხომ ჩვენი შვილებისათვის და მომავალი თაობისათვის კეთდება.

დასუფთავების აქცია გამგეობის მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანების აქციით გაგრძელდა. აქციის ფარგლებში წმინდა დიმიტრი ყიფიანის მოედნის მიმდებარედ დაირგო 20 ძირი ბზა და 7 ძირი ვერცხლისფერი ნაძვი, რომელიც მუნიციპალიტეტს გარემოს დაცვის სამინისტრომ მოაწოდა.

ხათუნა ჩარკვიანი (არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალთა დანადგომა მშვიდობისათვის" პარტნიორი სახელმწოფო სტრუქტურებში)-ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გურასპაშვილის, ქალთა ორგანიზაციის „ქალთა თანადგომა მშვიდობისათვის", საქართველოს საპატრიარქოს ფონდის „გაამწვანე საქართველო" ერთობლივი ინიციატივით გადაწყდა რამდენიმე აქტივობის განხორციელება ხაშურში. რაც შეეხება გამწვანების აქციას, საპატრიარქოს ფონდმა ჩამოიტანა 40 ძირი ალვის და 40 ძირი ნეკერჩლის ხის ძირები, რომელიც უახლოეს პერიოდში, სოფელ ტეზრის მიმდებარედ, ქარსაცავ ზოლში დაირგვება. ასევე დაიგეგმა საქველმოქმედო აქცია, ინდოელმა მეცენატმა დარპარ პრაშერმა ჰუმანიტარული ტვირთი ჩამოიტანა ინდოეთიდან, რომელიც დაურიგდება 140 სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახს, დევნილებს.

დღევანდელი დღის დასკვნით ეტაპზე „მარათონი 2017-ხაშური" გაიმართა, რომელშიც რეგისტრაცია დაახლოებით 150 მსურველმა გაიარა. მარათონმა სტარტი ტაბიძის ქუჩისა და წმინდა დიმიტრი ყიფიანის მოედნის გადაკვეთის ადგილას აიღო და ზემო სერის მიმდებარე ტერიტორიაზე დასრულდა. რბოლაში პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულ მონაწილეებს, როგორც ვაჟებს, ისე გოგონებს შორის, თასები, მედლები და სიგელები გადაეცათ. ზემო სერზე მარათონელები, გასართობი აქტივობებითა და ახალგაზრდული თამაშებით დაკავდნენ.

თ.ახალკაცი

ვაქცინები მოქმედებს! აცერი და დაიცავი!

24-30 აპრილი საქართველოში ევროპის იმუნიზაციის კვირეულად გამოცხადდა, რომელშიც ჩვენი მუნიციპალიტეტიც ჩაერთო. ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის წარმომადგენლებმა, კვირეულის ფარგლებში, საღმზრდელო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან და სამედიცინო პერსონალთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.

დაავით ჩიქოვანი (საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი)-შეხვედრაზე ნათლად აღინიშნა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია იმუნიზაცია ადამიანისათვის, სიცოცხლის ყველა ეტაპზე. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ აცრების დროულად და სრულად ჩატარებაა აუცილებელი, რათა დაიცვან საკუთარი და გარშემომყოფების ჯანმრთელობა. ვაქცინაცია თანაბრად ხელმისაწვდომია ყველასათვის და გათვლილია დაახლოებით 5 ათას ბავშვზე. ვაქცინაცია ჩატარდება 14 დაავადების პრევენციის მიზნით. ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცის ცენტრი მოგიწოდებთ დაიცვათ თქვენი შვილების ჯანმრთელობა და დროულად ჩაუტაროთ ყველა გეგმიური აცრა.

ევროპის იმუნიზაციის კვირეულს კორდინაციას ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია უწევს. კვირეულის ლოზუნგია: პრევენცია,დაცვა და იმუნიზაცია. კვირეულის ფარგლებში ტარდება შეხვედრები სამიზნე აუდიტორიასთან, რათა გადაიჭრას იმუნიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები. ევროპის იმუნიზაციის კვირეული უკვე 25 წელია აქტიურიადაა ჩართული ამ სექტორის კვლევაში და ბოლო 10 წელია მას საქართველოც შეუერთდა.

- ვერნისაჟი -

საინტერესო გამოფენა

25 აპრილს, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ხაშურელი მხატვრის, გელა გელაშვილის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. „ხაშურის მოამბე", მოხარულია, რომ ჩვენ, აღმოვჩნდით იმ წინამორბედთა შორის, რომელეთა საშუალებითაც, ასეთი თვითნაბადი და ნიჭიერი მხატვარი უფრო ფართო საზოგადოებამ გაიცნო და რომლის ჩრდილში ყოფნაც, უდავოდ, დანაშაული იქნებოდა.

გელა გელაშვილი (მხატვარი): ჩემი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა უდიდესი პატივია ჩემთვის. უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის და განათლების სამსახურს, რომელთა უშუალო დაფინანსებით და ხელშეწყობით მოეწყო გამოფენა და დღის სინათლე იხილა ჩემმა ნახატებმა. მადლობა ასევე ყველა აქ მყოფთ მობრძანებისთვის და მათაც, ვინც თბილი სიტყვები არ დაიშურა ჩემი და ჩემი შემოქმედების მიმართ.

გამოფენის პირველი დღე, ნამდვილად, ხალხმრავლობით გამოირჩეოდა, ხელოვნებით დაინტერესებულ ადამიანებთან და პროფესიონალ მხატვრებთან ერთად გამოფენაზე სკოლის მოსწავლეებიც იმყოფებოდნენ, ხელოვნების მასწავლებლებთან ერთად ვიმედოვნებთ, მომდევნო დღეებშიც ასე გაგრძელდება, უფრო მეტი და მეტი გაიცნობს ამ თვითმყოფად მხატვარს. გამოფენაზე მხატვრის 53 ნამუშევრი იყო წარმოდგენილი, რომელიც დამთვალიერებელს 5 მაისამდე ელოდება. ბატონ გელას წარმატებასა და პროფესიული წიაღსვლების სიუხვეს ვუსურვებთ.

გააცოცხლეს სურამის ციხის ლეგენდა

24 აპრილს, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სურამის პირველი საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეებმა (პედაგოგი ირინა სალამიძე) წარმოადგინეს სპექტაკლი „სურამის ციხის ლეგენდის გაცოცხლება", სპექტაკლის შემდეგ, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველმა თამაზ ლაცაბიძემ წაიკითხა ლექცია თემაზე „სურამის ციხე."

ღონისძიებას ესწრებოდნენ წარმომადგენლები მუნიციპალიტეტიდან და დაინტერესებული პირები.

ცესკო ამომრჩევლებს ხვდება

ყველას კარგად მოგვეხსენება მოახლოებული თვითმმართველობის ორგანოს არჩევნების მნიშვნელობა. მოსახლეობას შესაძლებლობა ეძლევა 4 წლის ვადით აირჩიოს ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების მოგვარების პასუხისმგებლობას აიღებს. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ცესკო რეგიონებში მართავს საინფორმაციო შეხვედრებს თემაზე "ვესაუბროთ ამომრჩეველს". აღნიშნულთან დაკავშირებით, 35-ე საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინსტრაციამ ხაშურის მოსახლეობას არჩევნების მოახლოება შეახსენა და მათი უფლებების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

დასასვენებელი პარკები ლამაზდება

ხაშურის კულტურისა და დასვენების პარკის გალამაზებაზე ტრადიციულად ზრუნავს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სავანე." ამჯერად მიმდინარეობს სამდებრო სამუშაოები, უკვე დამონტაჟდა ბეტონის საყვავილეები, სადაც უახლოეს ხანებში ულამაზესი ბეგონიები, ტაგეტესი და სალვია დაირგვება. ა(ა)იპ-ის თანამშრომლების თქმით, წელსაც მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 60 000-მდე ყვავილის დარგვაა გათვალისწინებული და პროცესი უახლოეს ხანებში დაიწყება.

– ყვლავ მფრინავი ჰამაკის შესახებ –

ჰოპლა, ჩვენ ამერიკელები ვყოფილ-ვართ!..

ჩემი გენეალოგიის კვლევას წლები შევალიე, ჩემს წინ 10 თაობას მივწვდი, ვიცი ბაბუის ბაბუის ბაბუის ბაბუის ბაბუის სახელი და იქიდან დაწყებული გენეტიკური ხის განშტოებები, და აგერ, ყველაფერი რომ მეგონა შევისწავლე, როგორც დინჯი იმერელი იტყოდა: - რავა გეკადრება, ბატონო, ისე ყოფილა ჩემი საქმე. ამდენი ხნის „მეცნიერული“ კვლევებიც წყალში ჩამეყარა და ტყუილი შრომა და ჯაფაც შემრჩა! არა, ეჭვი კი მღრღნიდა მუდამ, რომ ჩემში იყო რაღაც ანტიკური და უცხო, მაგრამ მთლად პიტალო ამერიკელი

თუ ვიყავი, ამას მე კი არა, ლელაია კაკულიაც ვერ იტყოდა დაბეჯითებით. არადა, ფაქტს ვერ გაექცევი! მივყვეთ დაწვრილებით: ამ მფრინავმა ჰამაკმა, რომელმაც, მეგონა, მხოლოდ საქართველო გადარია, რა საქართველო, მსოფლიო მოიარა და „ინსტაგრამის“, „ტვიტერის“ და „ფეისბუკის“ კვირის ჰიტად იქცა. სამ დღეში 30 მილიონი ნახვა დააგროვა. წარმოგიდგენიათ რა ციფრზეა საუბარი? 30 მილიონი! შეიძლება გადაირიო კაცი! ახლა, ადამიანთა ამ უზარმაზარმა მასამ, იმის გაგება მოინდომა, სადაა ეს ქალაქი ხაშური, სადაც ადამიანები ჰამაკით დაფრინავენ. მსოფლიო სოციალური ქსელებიც რა იმის ჩიტები არიან, რომ ამაზე პასუხი უზუსტესად არ გაეცათ? ჰოდა, ყველას დაუმაყოფილეს ცნობისმოყვარეობა და 30 მილიონ კაცს აცნობეს: ხაშური - ესაა პატარა ქალაქი ამერიკაში, ჯორჯიის შტატში. გენაცვალე, სოციალურო ქსელებო, გენაცვალე „ტვიტერო“ თუ „ინსტაგრამო“, კაცები თქვენ ყოფილხართ! რა საქართველო, რის საქართველო, ვის დაკარგვია ეს ქვეყანა? ხაშურელები აგერ, ამერიკელები ვყოფილვართ! ჩვენს მთავრობას რა ვუთხარი, ვინ დაიჯერებს იმას, რომ მთავრობაში ეს არ იცოდნენ? იცოდნენ, მშვენივრად იცოდნენ, მაგრამ გვიმალავდნენ. არ უნდოდათ, რომ ეს სამოთხე დაეკარგათ, მაგრამ ერთხელ მაინც ჩაეხედათ ბიბლიაში და ნახავდნენ, რომ ტყუილად გაისარჯნენ, რადგან „არა არს არაფერი დამალული, რომელიც არ განცხადდეს“. ახლა კი მივმართავ ჩვენს ნაღდ მთავრობას (რადგან ამერიკელები ვართ, ჩვენი მთავრობაც ვაშინგტონშია) და პრეზიდენტს: - თქვენო აღმატებულობავ, ბატონო პრეზიდენტო! ამერიკის შემქნის შემდეგ 300 წელი გავიდა და ჩვენ, ხაშურელები, ეს სამი საუკუნე, ქვეყნის ინტერესების გამო, სრულ კონსპირაციაში ვართ. კრინტიც არ დაგვიძრავს ჩვენი წარმომავლობის გამო. ოღონდ ჩვენი სამშობლო - აშშ - ყოფილიყო კარგად და ათასი გაჭირვება გადავიტანეთ ამ ვიღაც ქართველებთან ერთად. რადგან ყველაფერი გაცხადდა, ვფიქრობთ, აზრი ეკარგება მომავალ კონსპირაციას და მოვითხოვთ დროულად დაგვაბრუნონ დედასამშობლოში. თუმცა, ამერიკული გული მაინც არ შვება, რომ ბევრი გაწვალოთ და გვინდა, რაღაც ბიუროკრატიული ხლაფორთი აგარიდოთ თავიდან. ბევრზე ფიქრს მოეშვით, ჩვენ მთელი ქალაქის მოსახლეობის სიას გაახლებთ და თქვენ მხოლოდ მოქალაქეობა მოგვანიჭეთ თითოეულს და პასპორტები გამოგვიგზავნეთ. დანარჩენს ჩვენ მივხედავთ! იმედი გვაქვს, სულ ჩქარა დავუბრუნდებით მშობლიურ წიაღს! პატივისცემით, ხაშურელები - ნაღდი ჯორჯიელები.

ესეც ასე! არ ამოვისუნთქე კაცმა?! აწი, სულაც აღარ მაინტერესებს, რას უზამენ საქართველოს კონსტიტუციას, როგორ დამთავრდება ადგილობრივი არჩევნები, ხალხი აირჩევს თუ პარლამენტი პრეზიდენტს და სხვა მსგავსი ქართული უბედურებები. ან რაში უნდა გვაინტერესებდეს ჩვენ, ხაშურელებს, უცხო ქვეყნის პოლიტიკური ამბები? ჩვენ ჩვენი ჯორჯიული ინფორმაციებიც გვეყოფა.

P.S. ვიდრე გაზეთი დასაბეჭდად გამზადდებოდა, მფრინავი ხაშურელის მნახველთა რიცხვი 35 მილიონს მიუახლოვდა. ახლა უკვე 35 მილიონი კაცია დარწმუნებული, რომ ხაშური ამერიკაა და ჯორჯიის შთატში მდებარეობს. თუ კიდევ დარჩა ვინმე, რომ ამაში ეჭვი ეპარება, ვისაც გვჯერა, გვაცალეთ და გაგვატარეთ, ბატონო!

სურათზე: (მარცხნივ) ჯორჯიის დედაქალაქი ატლანტა, საიდანაც, ასე, 120 კილომეტრში, ხაშური მდებარეობს.

გ. გოგოლაძე

საგუნდო კოლექტივებმა საანგარიშო კონცერტი გამართეს

ხაშურის სამუსიკო სკოლაში, ერთგვარი საანგარიშო კონცერტი გაიმართა, სადაც სხვადასხვა საგუნდო კოლექტივებმა თავიანთი შემოქმედება წარმოადგინეს. საღამოს ხელმძღვანელობდა მუსიკის პედაგოგი ლიანა ტატიშვილი.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ მსმენელთან ერთად, კონცერტს ესწრებოდა შვეიცარიის ქალაქ ბაზელიდან, კონსერვატორიის პროფესორი მარკ გუთთუბი. უცხოელმა სტუმარმა ხაშურელი ნორჩი მუსიკოსების მიერ შესრულებულ ნაწარმოებებს მაღალი შეფასება მისცა და სამომავლოდ უფრო ღრმა თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

D

- გრედი თიკანაშვილის ხსოვნას -

შრომაში და სიკეთეში გატარებული ცხოვრება

ჩვენი საძმო მუხნარი საკმაოდ გამოიხშირა და ის ძალუმად ვეღარ შრიალებს, როგორც ჩვეოდა. ამ დღეებში ყველაზე ფესვმაგარი და ფუძემაგარი მუხა წაიქცა. დრომ და ცხოვრების სიავემ თავისი გაიტანა, ჩვენს შორის აღარ არის ადამიანური ხიბლითა და კეთილშობილებით აღსავსე ვაჟკაცი **გრედი თიკანაშვილი**, კაცი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო და მშობლიური ხალხი. იგი იყო შესანიშნავი ენერგეტიკოსი და გამორჩეული სამეურნეო მუშაკი. გრედი იმდენად მაღალკვალიფიციური და გამორჩეული პიროვნება ბრძანდებოდა სისტემაში, რომ ენერგეტიკის სამინისტროს და შესაბამის ვეტერანთა კავშირს მხედველობიდან არ გამორჩენიათ მისი დაბადების 85-ე წელი.

ამ თარიღთან დაკავშირებით იგი სამინისტროში მიიწვიეს და ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყეს, ბევრი გულთბილი და საქებარი სიტყვა ითქვა მის მიმართ, რითაც ჩვენი ძმა და მეგობარი ფრიად კმაყოფილი და აღფრთოვანებული იყო. მიუძღვნეს სპეციალური ადრესი, რომელსაც ხელს აწერს მინისტრი, მისი ყველა მოადგილე და სხვადასხვა ძირითადი სამსახურების პირველი პირები. ისინი გრედის გულწრფელად ულოცავენ დაბადების 85-ე წელს და ამ სისტემაში მოღვაწეობის 50 წლისთავს.

გრედის მიერ გავლილი ცხოვრებისეული გზა ნათელი მაგალითია იმისა თუ როგორ უნდა იცხოვრო და იმოღვაწო სამშობლოს, მშობლიური ხალხის და, საერთოდ, ქვეყნის საკეთილდღეოდ, იქცე ახალგაზრდობის, მომავალი თაობის მისაბაძ მაგალითად.

თვალცრემლიანი გემშვიდობებით, ჩვენო სახელოვანო და შეუცვლელო მეგობარო! მსუბუქი იყოს შენთვის ხაშურის მადლიანი მიწა. სანთელი და ნათელი არ მოკლებოდეს შენს ხსოვნასა და სახელს.

უახლოესი მეგობრები

D

შოთა ნოზაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გრედი თიკანაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ა(ა)იპ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ დავით ნოზაძეს ბაბუის

ნაყიდა ნოზაძის

გარდაცვალების გამო.

D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.